

2019 წლის შემოდგომაზე ჩატარებული პედაგოგთა კომპეტენციის
დამადასტურებელი გამოცდის სწორი პასუხები და შეფასების სქემა
საგანში - ფიზიკური აღზრდა და სპორტი

დავალება 1. - 27. თითოეული დავალების სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

- | | |
|-------|-------|
| 1. ბ | 15. გ |
| 2. გ | 16. დ |
| 3. ბ | 17. გ |
| 4. დ | 18. ბ |
| 5. ბ | 19. ბ |
| 6. გ | 20. გ |
| 7. ბ | 21. გ |
| 8. დ | 22. დ |
| 9. ბ | 23. გ |
| 10. დ | 24. ა |
| 11. ბ | 25. ბ |
| 12. დ | 26. ა |
| 13. ბ | 27. დ |
| 14. ა | |

დავალება 28. – 32.

დავალება 28. დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

1. დავალების პირველ კითხვაში, აპლიკანტს მოეთხოვება წარმოდგენილი ორი ნახატიდან შეარჩიოს ვარჯიშის შესრულების სწორი ვარიანტი. სწორი პასუხია ვარიანტი 2. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

2. დავალების მეორე კითხვაში, აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ცხრილში მოზარდის ტანადობის ჩამოყალიბების ნებისმიერი 3 დამახასიათებელი ნიშანი, წარმოდგენილი სწორი პასუხების 4 ვარიანტიდან (თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 3 ქულა.):

1. სხეულის ნაწილების ზრდის არათანაბარი ინტენსივობა; ან სხეულის ნაწილების არაპროპორციული განვითარება; ან კიდურები უფრო გრძელია პროპორციაში, ვიდრე კორპუსი;
2. გაზრდილია მენჯის დახრის კუთხე;
3. გაზრდილია წელის ლორდოზი;
4. ძვლოვანი, კუნთოვანი ქსოვილისა და მყესების განვითარება მიმდინარეობს არათანაბრად.

დავალება 29. აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ცხრილში დარტყმის ძალის შემცირების ნებისმიერი 3 ხერხი, წარმოდგენილი სწორი პასუხების 4 ვარიანტიდან (თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 3 ქულა.):

1. დაჭერა ხდება იდაყვებში მოხრილი ხელებით;
2. დაჭერა ხდება ორივე ხელით, რათა დარტყმის ძალა განაწილდეს ორივე ხელზე;
3. ხელის მტევნები და თითები უნდა იყოს გაშლილი, იმისთვის, რომ დარტყმის ძალა განაწილდეს უფრო დიდ ფართობზე;
4. ხელით უნდა განხორციელდეს ბურთზე ძალით ზემოქმედება, რათა შემცირდეს მისი დარტყმის ძალა.

დავალება 30. აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს სისწრაფის განვითარების ხელშეწყობის ნებისმიერი 3 მეთოდი, წარმოდგენილი სწორი პასუხების 7 ვარიანტიდან (თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 3 ქულა.):

1. თამაშობითი მეთოდი;
2. შეჯიბრებითი მეთოდი;
3. ძალისმიერი ვარჯიშობის მეთოდი;
4. სწრაფძალისმიერი ვარჯიშობის მეთოდი;
5. ცვალებადი ვარჯიშობის მეთოდი

6. ინტერვალური ვარჯიშობის მეთოდი შესვენების ორდინალური ინტერვალებით (უპირატესად ძალისა და სისწრაფის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით);
7. ვარჯიშობის შენაცვლებითი მეთოდი უწყვეტი და ინტერვალური დატვირთვის რეჟიმში.

დავალბა 31. აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ჯანმრთელობის ნებისმიერი 5 ძირითადი პრობლემა, რაც შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი წონის აღჭურვილობით ვარჯიშმა 11 წლის ასაკში, წარმოდგენილი სწორი პასუხების 6 ვარიანტიდან (თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 5 ქულა.):

1. ძვლის ზრდის ზონების დაზიანება;
2. კუნთების ძლიერი დაჭიმვა;
3. სიმაღლეში ზრდის შეფერხება;
4. ხერხემლის დეფორმაცია (ან დაზიანება);
5. ტრავმები ზედა და ქვედა კიდურებზე (კიდურების ტრავმული დაზიანება);
6. ძვალ-სახსროვანი სისტემის (ძვლისა და სახსრების) სხვადასხვა დაავადების განვითარება.

დავალბა 32. აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ბაგირზე ცოცვის უსაფრთხოების დაცვის ნებისმიერი 4 აუცილებელი პრინციპი, წარმოდგენილი სწორი პასუხების 5 ვარიანტიდან (თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.):

1. აუცილებელია დაფენილი იყოს ლეიბი;
2. მასწავლებელი უნდა იდგეს დაზღვევაზე;
3. დაუშვებელია ბაგირზე 2 ან მეტი მოსწავლის ცოცვა ერთდროულად;
4. დაუშვებელია ბაგირიდან ჩამოცურება;
5. დაუშვებელია ბაგირიდან ჩამოხტომა ბავშვის მხრის დონეზე მაღალი სიმაღლიდან.

დავალება 33. – 36. „ჭეშმარიტია - მცდარია“. სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით.

დავალება 33. მცდარია.

აპლიკანტს მოეთხოვება მონიშნოს შესაბამისი უჯრა და ჩაწეროს სწორი განმარტება.

სწორია შემდეგი განმარტება:

სხეული 3 წერტილზე უფრო მყარად დგას, ვიდრე ორზე, ამდენად, ბალანსირება 3 წერტილზე უფრო მარტივი და უსაფრთხოა.

დავალება 34. მცდარია

აპლიკანტს მოეთხოვება შესაბამისი უჯრა და ჩაწეროს სწორი განმარტება.

სწორია შემდეგი განმარტება:

მესამე კლასის მოსწავლე რბენით თავისუფლად ფარავს 60 მეტრის დისტანციას 3 წუთში, რბენის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს, ვინაიდან 5 წუთის შემდეგ ბავშვი იღლება.

დავალება 35. მცდარია

აპლიკანტს მოეთხოვება შესაბამისი უჯრა და ჩაწეროს სწორი განმარტება.

სწორია შემდეგი განმარტება:

დაწყებით საფეხურზე წვრილი და მსხვილი მოტორიკის განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს. 11-12 წლის ასაკში სრულდება მხოლოდ წვრილი მოტორიკის განვითარება, მსხვილი მოტორიკის განვითარება გრძელდება.

დავალება 36. მცდარია

აპლიკანტს მოეთხოვება შესაბამისი უჯრა და ჩაწეროს სწორი განმარტება.

სწორია შემდეგი განმარტება:

ვარჯიში „სიმაღლიდან ვარდნილი საგნის დაჭერა“ რეკომენდებულია მანიპულაციური უნარის (დაჭერა), აგრეთვე თვლისა და ხელის კოორდინაციის უნარის განვითარებისთვის.

დავალება 37.- 40. შესაბამისობის დადგენა.

თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

დავალება 37.

37.1 ბ

37.2 ვ

37.3 ა

37.4 ე

დავალება 39.

39.1 დ

39.2 ვ

39.3 ბ

39.4 გ

დავალება 38.

38.1 ბ

38.2 ზ

38.3 ე

38.4 გ

დავალება 40.

40.1 ე

40.2 ბ

40.3 გ

40.4 ვ